წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2013 წლის 23 მაისი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის N31 დადგენილებაში (სსმ, 29/11/2010, სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.104.016020) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–5 მუხლიდან ამოღებულ იქნეს „ბ“ და „დ“ პუნქტები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ბელქანია**